საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 14.05.2025, სარეგისტრაციო კოდი: 010190030.06.001.016122) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:
1. მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს შეიძლება ჰყავდეს 1-ზე მეტი თანაშემწე, ხოლო კომიტეტის თავმჯდომარეს, სხვა პარლამენტის წევრს (გარდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილისა, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერისა, ამ რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარისა, ფრაქციის თავმჯდომარისა და ოლქის დელეგატისა) – 1 თანაშემწე.“.

2. 147-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მოთხოვნისთანავე მისი მოსმენის ფარგლებში აღნიშნული სამსახურის უფროსი კომიტეტს წარუდგენს აგრეთვე:

ა) ინფორმაციას სამსახურის საქმიანობის პროცესში გამოვლენილი საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე და მოსაზრებებს აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;

ბ) მოსაზრებებს სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.“.

3. 163-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

4. 190-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

5. 208-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**

თბილისი,

24 ივნისი 2025 წ.

N712-IIმს-XIმპ